

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აზერინშატსერვისის“ წარმომადგენლობა საქართველოში (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს უცხოური საწარმოს ფილიალს, რომელიც დაფუძნდა 2007 წლის 30 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 205207872.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რკინიგზის და საავტომობილო გზების მშენებლობა. იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გელოვანის ქ. N25/36.

კომპანიის დამფუძნებელი საანგარიშგებო პერიოდისათვის არის: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აზერინშატსერვისი“, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, 1700233351, 0103-P34-38836;

კომპანიის დირექტორია ელმან გულიევი, პასპორტის ნომერი C01868353, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე;

საწესდებო კაპიტალი კომპანიას არ გააჩნია.

შვილობილი საწარმო კომპანიას არ გააჩნია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად. წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ ითვალისწინებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის წარდგენას.

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

2.1) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში.

მიწა კომპანიას არ გააჩნია.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

2.2) არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები არ გააჩნია.

2.3) მარაგები

კომპანიას მარაგები არ გააჩნია

2.4) დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

2.5) შემოსავალი

კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია დამკვეთთან გააფორმებს შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ კონკრეტული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

2.6) ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული საქონლის რეალიზაციასთან/მომსახურების გაწევასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2.7) სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2.8) საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.9) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	40 627	169 589	53 288
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10 843 329	3 340 997	13 429 998
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	522 304	522 321	521 188
მარაგები	-	-	490
- მზა პროდუქცია			
- სხვა	-	-	490
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	-	1 373	279 576
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2 267	3 313	7 128
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	11 408 526	4 037 594	14 291 668

ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	39 511 880	32 053 302	42 126 247
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
საგადასახადო ვალდებულებები	22 479		
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	-		
სულ ვალდებულებები	39 534 359	32 053 302	42 126 247

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(28 125 833)	(28 015 708)	(27 834 579)
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	(28 125 833)	(28 015 708)	(27 834 579)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11 408 526	4 037 594	14 291 668
სულ მოკლევადიანი აქტივები	11 406 260	4 034 281	14 284 540
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	39 534 359	32 053 302	42 126 247

	-		
--	---	--	--

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	2023	2022
	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	7 601 974	4 230 322
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან	7 601 974	4 230 322
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		

გაყიდვების თვითღირებულება	-	(490)
საწყისი მარაგები	-	(490)
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	7 601 974	4 229 832

სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(282 762)	(384 577)
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	(1 046)	(1 547)
საპროცენტო შემოსავალი	1 378	901
საპროცენტო ხარჯი		
იჯარის ხარჯი	(6 701)	(8 054)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(7 438 340)	(4 147 168)
სულ საოპერაციო ხარჯები	(7 727 472)	(4 540 444)

საოპერაციო მოგება	(125 498)	(310 612)
-------------------	-----------	-----------

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	15 373	129 483
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(110 125)	(181 129)
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(110 125)	(181 129)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(110 125)	(181 129)

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	(28 015 708)	(27 834 579)
---	--------------	--------------

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(28 125 833)	(28 015 708)

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	2023	2022
	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(130 340)	115 400
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1 378	901
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(128 962)	116 301
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	169 589	53 288
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	40 627	169 589

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი